

#	შენიშვნა / ხარვეზი	დაზუსტებული ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშში
ა	<p>სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულ სატუმბ სადგურებზე (PS11, PS13 და PS15) განხორციელებული ცვლილებების აღწერა და შედარებითი ანალიზი, თავდაპირველ პროექტთან მიმართებით. კერძოდ, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს თითოეულ სატუმბ სადგურზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების, მათ შორის, დიზელის სამარაგო რეზერვუარების შესახებ ინფორმაცია როგორც ცვლილებამდე, ისე ცვლილების შემდგომ. აღნიშნული ინფორმაცია ასახული უნდა იყოს როგორც სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში, ისე სიტუაციურ ნახაზებში;</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იხ. განახლებული თავი 1, ქვეთავები 3.1, 3.2, 4.1.1, 4.3.2</li> </ul> <p>შენიშვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დიზელის სამარაგო რეზერვუარებთან დაკავშირებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება (იხ. განახლებული თავი 1, ქვეთავები 3.1, 3.2, 4.1.1, 4.3.2). სამარაგო რეზერვუარები ნაჩვენებია ნახაზებზე 2-4, რადგანაც ისინი წარმოადგენენ გენერატორის სისტემის ნაწილს; დიზელის სამარაგო რეზერვუარების კოორდინატები ამოღებულია ცხრილებიდან 1 – 3</li> <li>• სკრინინგის ანგარიშში დაკორექტირდა სატუმბი სადგურების დიზელის ძირითადი ავზის არასწორი საექსპლუატაციო მონაცემი ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, კერძოდ არასწორი მოცულობა 100 მ<sup>3</sup> შეიცვალა ფაქტობრივი 90მ<sup>3</sup>-ით. დიზელის ძირითადი ავზის არასწორი ტევადობის კორექტირება არ საჭიროებს არანაირ ცვლილებას ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში ან შეთანხმებულ საექსპლუატაციო პირობებში.</li> </ul>
ბ	<p>სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სატუმბი სადგურების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ხდება მათ ტერიტორიაზე განლაგებული დიზელის გენერატორებით, ხოლო ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით დაგეგმილია სატუმბი სადგურების სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ქსელთან დაერთება და შესაბამისი ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა. ქსელთან დაკავშირების სამუშაოებს განახორციელებს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“. დაზუსტებას საჭიროებს ვინ განახორციელებს აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანას. იმ შემთხვევაში თუ მითითებული</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქსელთან დაკავშირების ყველა სამუშაოს, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის ჩათვლით, განახორციელებს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (იხ. განახლებული თავი 1 და ქვეთავი 3.1).</li> </ul>

#	შენიშვნა / ხარვეზი	დაზუსტებული ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშში
	<p>ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა დაგეგმილია სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს მიერ, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების და აღნიშნული საქმიანობის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ამასთან, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზები ასახული უნდა იქნას shp-ფაილში;</p>	
გ	<p>სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp-ფაილში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შემდგომ სატუმბ სადგურებზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა (GIS კოორდინატების მითითებით).</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იხ. თანდართული დანართი 1 (shp ფაილები)</li> </ul>
დ	<p>სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებულია სუფსის ტერმინალის საცხოვრებელი ბანაკის სიახლოვეს საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ახალი ჩაშვების წერტილის მოწყობა, რაც განპირობებულია საცხოვრებელი ბანაკის განახლებული ინფრასტრუქტურის სრულად ასამოქმედებლად. კერძოდ, განახლდა ბანაკის ტერიტორიაზე მშენებლობის დროიდან არსებული ნავთობიანი წყლის გამწმენდი სეპარატორი (OWS) და მანქანების სამრეცხაო და გენერატორის და დიზელის ავზის შემოკავებული მოედნები (ბანდები) მიუერთდა ნავთობის გამწმენდ სეპარატორს. შესაბამისად, საჭირო გახდა ჩამდინარე წყლების ახალი წერტილის მოწყობა ბანაკის სიახლოვეს. სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მართვის შედარებითი ანალიზი (ცვლილებამდე და ცვლილების შემდგომ). წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ დგინდება ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ითვალისწინებს ახალი წყალჩაშვების წერტილის მოწყობას და ძველის გაუქმებას, თუ ობიექტზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იხ. განახლებული თავი 1, ქვეთავები 3.2 და 4.3.2</li> <li>• იხ. განახლებული დანართი 1</li> </ul>

#	შენიშვნა / ხარვეზი	დაზუსტებული ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშში
	<p>გათვალისწინებული იქნება ორი წყლავალი წერტილი. ამასთან, shp-ფაილში ასახული არ არის საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამყვანი მილსადენ(ებ)ი. გარდა ამისა დოკუმენტში მოცემული არ არის განახლებული გამწმენდი სეპარატორის ეფექტურობა (გაწმენდამდე და გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლებში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ხარისხობრივი მაჩვენებლები), ასევე მოსალოდნელი საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა.</p>	
ე	<p>სკრინინგის განცხადების დანართ 3-ში მითითებული ჩამდინარე წყლების ახალი ჩაშვების წერტილისა და მდ. ჩირეს მიდამოების ჰაბიტატებთან ასოცირებული ცხოველთა სახეობების ლიტერატურის მონაცემების მიხედვით ჩამოთვლილი სახეობებიდან, ბუხრინწა - Tyto alba Scopoli წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცულ სახეობას, საკონსერვაციო სტატუსით - EN - გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი, რაც საჭიროებს კორექტირებას.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იხ. განახლებული დანართი 3, ფრინველების სია, #74</li> </ul>
ვ	<p>ასევე, სკრინინგის განცხადებას თან ერთვის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (შემდგომ – ზდჩ) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (შემდგომ – ზდგ) პროექტები. ვინაიდან სკრინინგის პროცედურა ზდჩ და ზდგ ნორმების პროექტების სააგენტოსთან შეთანხმებას არ ითვალისწინებს, აღნიშნული პროექტები სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის შემდგომ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზდგ და ზდჩ ნორმების პროექტები ამოღებულია დანართებიდან</li> </ul>